

შპს „უნიმედი“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. მომზადების საფუძვლები	5
3. საქმიანობის უწყვეტობა	6
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4.1 ამონაგების აღიარება	6
4.2 ძირითადი საშუალებები	8
4.3 არამატერიალური აქტივები	9
4.4 მარაგი	9
4.5 იჯარა	9
4.6 საინვესტიციო ქონება	10
4.7 აქტივების გაუფასურება	10
4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	10
4.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	11
5. გადასახადები	11
5.1 მოგების გადასახადი	11
5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი	12
5.3 საშემოსავლო გადასახადი	12
6. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები	12
ანარიცხები	12
პირობითი ვალდებულებები	13
პირობითი აქტივი	13
7. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.	14
7.1 საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:	14
8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	9	722,904	984,437
სავაჭრო მოთხოვნები	10	388,625	327,692
გადახდილი ავანსები	11	326,747	1,342,027
მარაგები	12	1,536,931	1,941,932
სხვა მიმდინარე აქტივები	12	99,515	130,376
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>3,074,721</u>	<u>4,726,464</u>
ძირითადი საშუალებები	8	1,898,275	1,658,691
სხვა არამატერიალური აქტივები	13	5,326	11,007
ინვესტიციები სხვა საწარმოში	14		
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>1,903,601</u>	<u>1,669,698</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>4,978,322</u>	<u>6,396,161</u>
სავაჭრო ვალდებულებები	14	1,384,218	1,919,448
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		12,695	-
საგადასახადო ვალდებულებები	15	39,477	48,382
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	16	695,479	1,659,343
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>2,131,869</u>	<u>3,627,173</u>
გრძელვადიანი სესხები	16	124,173	656,314
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>124,173</u>	<u>656,314</u>
საწესდებო კაპიტალი		221,639	215,301
გაუნაწილებელი მოგება		1,897,373	902,116
განაწილებული დივიდენდი	17	(385,305)	(172,422)
რეზერვი		29,687	
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		958,885	1,167,679
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>2,722,279</u>	<u>2,112,675</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>4,978,322</u>	<u>6,396,161</u>

დირექტორი:

უზა რაზმაძე

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 მარტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	9	722,904	984,437
სავაჭრო მოთხოვნები	10	388,625	327,692
გადახდილი ავანსები	11	326,747	1,342,027
მარაგები	12	1,536,931	1,941,932
სხვა მიმდინარე აქტივები	12	99,515	130,376
სულ მიმდინარე აქტივები		3,074,721	4,726,464
ძირითადი საშუალებები	8	1,898,275	1,658,691
სხვა არამატერიალური აქტივები	13	5,326	11,007
ინვესტიციები სხვა საწარმოში	14		
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,903,601	1,669,698
სულ აქტივები		4,978,322	6,396,161
სავაჭრო ვალდებულებები	14	1,384,218	1,919,448
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		12,695	-
საგადასახადო ვალდებულებები	15	39,477	48,382
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	16	695,479	1,659,343
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,131,869	3,627,173
გრძელვადიანი სესხები	16	124,173	656,314
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		124,173	656,314
საწესდებო კაპიტალი		221,639	215,301
გაუნაწილებელი მოგება		1,897,373	902,116
განაწილებული დივიდენდი	17	(385,305)	(172,422)
რეზერვი		29,687	
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		958,885	1,167,679
სულ საკუთარი კაპიტალი		2,722,279	2,112,675
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,978,322	6,396,161

დირექტორი:



უჩა რაზმაძე

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 მარტი

სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<i>შენიშვნა</i>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
ამონაგები	7	8,419,132	5,255,177
სხვა შემოსავალი	7.2	1,160	10,811
შეძენილი მარაგი	7.3	(5,888,027)	-
საქონლის ნაშთის ცვლილება		(186,880)	676,219
თანამშრომლის ხელფასები და გასამრჯელოები		(603,141)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(74,317)	62,435
სხვა საოპერაციო ხარჯები	7.4	(436,567)	-
ფინანსური დანახარჯები		(190,083)	-
საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება		191,435	84,654
მიღებული დივიდენდები		10,000	10,000
ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი აღდგენა		(8,687)	79,611
მარაგების გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		(218,069)	
<i>მოგება დაბეგვრამდე</i>		<u>1,015,957</u>	<u>1,186,309</u>
მოგების გადასახადი ხარჯი		(57,072)	18,630
<i>მიმდინარე წლის მოგება</i>		<u>958,885</u>	<u>1,167,679</u>
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,897,373	902,116
დივიდენდი		(385,305)	-
<i>გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს</i>		<u>2,470,953</u>	<u>1,897,373</u>

შენიშვნა: „კომპანია“ წარადგენს სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგებას, ვინაიდან წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგება ან ზარალის და დივიდენდის გაცემამ განაპირობა.

დირექტორი:

უზა რაზმაძე

სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
ამონაგები	7	8,419,132	5,255,177
სხვა შემოსავალი	7.2	1,160	10,811
შემენილი მარაგი	7.3	(5,888,027)	-
საქონლის ნაშთის ცვლილება		(186,880)	676,219
თანამშრომლის ხელფასები და გასამრჯელოები		(603,141)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(74,317)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	7.4	(436,567)	-
ფინანსური დანახარჯები		(190,083)	-
საკუთრო სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება		191,435	84,654
მიღებული დივიდენდები		10,000	10,000
ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი აღდგენა		(8,687)	79,611
მარაგების გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		(218,069)	
მოგება დაბეგვრამდე		1,015,957	1,186,309
მოგების გადასახადი ხარჯი		(57,072)	18,630
მიმდინარე წლის მოგება		958,885	1,167,679
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,897,373	902,116
დივიდენდი		(385,305)	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2,470,953	1,897,373

შენიშვნა: „კომპანია“ წარადგენს სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგებას, ვინაიდან წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილებას მხოლოდ მოგება ან ზარალის და დივიდენდის გაცემამ განაპირობა.

დირექტორი: 

უმა რაზმაძე

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 მარტი

ფულადი ნაკადის ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	12/31/2022	12/31/2021
მიყიდვებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	7,793,730	6,900,567
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4,855,566)	- 5,282,610
გაცემული შრომის ანაზღაურება	(443,821)	- 382,385
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(387,028)	- 370,767
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(11,826)	- 35,600
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,095,490	829,204
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(400,737)	- 121,258
არამატერიალური აქტივების შეძენა		- 5,746
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი		18,806
გაცემული/დაბრუნებული სესხი	(126,676)	- 3,370
მიღებული პროცენტები	1,303	45,000
მიღებული დივიდენდი	10,000	10,000
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(516,110)	- 56,567
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება	1,081,588	1,820,000
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(2,383,170)	- 1,685,664
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(153,880)	- 158,484
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება(ერთ)		588,373
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა		- 174,780
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები		- 78,719
გადახდილი დივიდენდები	(359,702)	- 163,801
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,815,164)	146,924
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(25,750)	4,307
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(261,533)	923,869
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	984,437	60,568
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	722,904	984,437

დირექტორი:

უჩა რაზმაძე


დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 მარტი

ფულადი ნაკადის ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	12/31/2022	12/31/2021
მიღებულებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	7,793,730	6,900,567
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4,855,566)	- 5,282,610
გაცემული შრომის ანაზღაურება	(443,821)	- 382,385
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(387,028)	- 370,767
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(11,826)	- 35,600
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,095,490	829,204
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(400,737)	- 121,258
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	5,746
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი		18,806
გაცემული/დაბრუნებული სესხი	(126,676)	- 3,370
მიღებული პროცენტები	1,303	45,000
მიღებული დივიდენდი	10,000	10,000
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(516,110)	- 56,567
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება	1,081,588	1,820,000
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(2,383,170)	- 1,685,664
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(153,880)	- 158,484
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება(ერთი)		588,373
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა		- 174,780
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები		- 78,719
გადახდილი დივიდენდები	(359,702)	- 163,801
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,815,164)	146,924
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(25,750)	4,307
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(261,533)	923,869
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	984,437	60,568
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	722,904	984,437

დირექტორი:



უზა რაზმაძე

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 მარტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს უნიმედი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, შ. გოგობის ქ., N 1

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო მოწყობილობების საბითუმო და საცალო რეალიზაცია.

შპს უნიმედი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 22 ივნისს. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად „კომპანია“ რეგისტრირებულია 2012 წლის 6 აპრილიდან. „კომპანიის“ დირექტორი 2022 წლის სექტემბრიდან არის უჩა რაზმაძე

„კომპანიის“ დამფუძნებელი დაფუძნებიდან 2012 წლის 06 მარტამდე იყო: ნინო ყალიჩავა 100%-იანი წილის მფლობელი. 2012 წლის 06 მარტიდან „კომპანიაში“ შემოვიდა ახალი პარტნიორი ანდრე ვილერ, გერმანია (პ.ნ. C8LXK6W01) 10 % -იანი წილით. 2012 წლის 07 მაისს კომპანიაში შემოვიდა ახალი პარტნიორი მანანა კუპატაძე-ცხადაძე (პ.ნ. 54001019626) 10%-იანი წილით. დღეის მდგომარეობით კომპანიას ყავს 3 პარტნიორი: 1. ნინო ყალიჩავა – 80 % წილით, ანდრე ვილერი – 10% წილით და მანანა კუპატაძე-ცხადაძე –10% წილით.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2023 წლის 23 მარტი

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით . ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით.

„კომპანიას“ აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებად საწარმოდ.

ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის ასე მოიქცეს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ მომგებიანია, ასევე „კომპანია“ წარსულში მომგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

- „კომპანია“ წარსულშიც და დღესაც მომგებიანია.
- 2022 წელს „კომპანიამ“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
- 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 ამონაგების აღიარება

„კომპანიისთვის“ ამონაგები არის შემოსავალი, რომელსაც იღებს საქონლის საბითუმო და საცალო გაყიდვებიდან.

„კომპანიის“ მიერ ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას. „კომპანია“ ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიან თანხას.

„კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციას საიმედოდ აფასებს მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს და

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ „კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ფინანსური ინსტრუმენტები

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფულადი სახსრების, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების და სასესხო მოთხოვნების/ვალდებულებების სახით.

ფინანსურ აქტივს და ფინანსურ ვალდებულებას „კომპანია“ პირველად აღიარებს გარიგების ფასით. ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში „კომპანია“ მოთხოვნას აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც სახელშეკრულებო თანხის ტოლია. ხოლო გრძელვადიანი მოთხოვნების შემთხვევაში მოთხოვნა აღიარდება მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები აღიარდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის/მომსახურების შეძენის შემთხვევაში ვალდებულებას კომპანია აღიარებს მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

„კომპანია“ ყოველი ფინანსური აქტივისათვის აფასებს გაუფასურებას ან თანხის ამოღების შეუძლებლობას.

ფინანსური აქტივის და ვალდებულებების აღიარება წყდება თუ „კომპანიისთვის“ ცნობილი გახდა გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენები:

ა) ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

ბ) დებიტორის ფინანსურ სიმძლევებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

გ) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც „კომპანია“ მიიღებდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

4.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად. ძირითად საშუალებაზე სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად :

დასახელება	მომსახურების წლები
1. ოფისის აღჭურვილობა	24-120 თვე
2. სატრანსპორტო საშუალებები	80-120 თვე
3. ავეჯი და სხვა ინვენტარი	120 თვე
4. შენობა-ნაგებობა	10-20 წელი

თუ არსებობს ნიშანი იმისა , რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. კომპანია არამატერიალური აქტივის სახით ფლობს საბუღალტრო პროგრამას.

4.4 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის „კომპანია“ იყენებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდს.

4.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში „კომპანიის“ მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

4.6 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც „კომპანია“ ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდისთვის. „კომპანია“ საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასს და ნებისმიერ დანახარჯებს. საინვესტიციო ქონებას „კომპანია“ აფასებს ყოველი საანგარიშო თარიღისათვის რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, „კომპანია“ ამ აქტივს აღრიცხავს მის ფასს სტანდარტის მე-17 განყოფილების შესაბამისად, მანამ სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი.

ქონების საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადატანას ან პირუკუ „კომპანია“ ახდენს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქონება პირველად დააკმაყოფილებს საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს, ან პირიქით, როდესაც პირველად ვეღარ დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.

4.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალების, არამატერიალური აქტივები და სხვა აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ, შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის ძირითადი საშუალების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, „კომპანიის“ მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. გადასახადები

5.1 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვეო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის პირველი იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ დამფუძნებლებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღის ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების

გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ხარჯების“ სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

5.3 საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

6. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები.

ანარიცხები

„კომპანია“ ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

„კომპანია“ ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მსს ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირება ხდება მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის ღირებულებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში, ვინაიდან რესურსის გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივი

„კომპანია“ არ აღიარებს პირობით აქტივს. ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ექვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

7. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.

7.1 საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:

<u>ამონაგები</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	8,389,052	4,802,742
მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავალი	30,079	452,434
	<u>8,419,132</u>	<u>5,255,177</u>

<u>შენიშვნა 7.2</u>		
<u>სხვა შემოსავალი</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		10810.77
სხვა შემოსავალი	1,160	
	<u>1,160</u>	<u>10,811</u>

<u>შენიშვნა 7.3</u>		
<u>მარაგი</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
საწყისი ნაშთი	1,954,067	1,264,626
შესყიდული მარაგი	5,888,027	3,847,838
რეალიზებული პერიოდში	6,074,906	3,158,396
<u>საბოლოო ნაშთი</u>	<u>1,767,188</u>	<u>1,954,067</u>
წინა წელს ჩამოფასებული მარაგის აფასება		24,553
ვადა გასული მარაგი	-	37,777
ჩამოფასებული მარაგი	- 218,069	
<u>ჯამი</u>	<u>1,535,896</u>	<u>1,940,844</u>

„კომპანია“ ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუარა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. 2021 წლის საანგარიშო პერიოდში ვადაგასული მარაგის ღირებულებამ შეადგინა 37781 ლარი, 2022 წლის საანგარიშო პერიოდში კომპანიამ ჩამოაფასა 218069 ლარი საქონელი

შენიშვნა 7.4 ხარჯები მოიცავს შემენილ მომსახურებას და სხვა საოპერაციო ხარჯებს. მათი შემადგენლობა ასეთია:

<u>სხვა საოპერაციო ხარჯები</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
რემონტის ხარჯი	4,844	9,754
რეკლამის ხარჯი	19,494	8,547
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	24,656	16,296
მიწოდების სხვა ხარჯები	27,138	2,061
იჯარის ხარჯი	12,000	12,000
გადარიცხვის საკომისიო	5,123	6,416
საპატრულო ჯარიმა	94	172
ბანკის მომსახურების საკომისიო	5,017	2,722
ინტერნეტ ბანკით სარგებლობის საკომისიო	160	175
ტენდერის ხარჯი	10,008	12,790
სესხზე დარიცხული საკომისიო		6,820
კომუნიკაციის ხარჯები	15,612	12,915
დაზღვევა	14,495	12,357
კომპიუტერის ხარჯები	2,074	1,922
საკონსულტაციო ხარჯები	35,407	19,093
ქონების გადასახადის ხარჯი	10,073	8,387
საქონლო შენატანი	11,828	-
ექსპორტის ხარჯი		406
ლექცია-მასტერკლასი	765	3,392
მონტაჟის ხარჯი	2,997	255
კომუნალური გადასახადების ხარჯი	28,920	25,679
სამეურნეო ხარჯი		899
ლიზინგის ხარჯი	3,329	686
დაცვის მომსახურების ხარჯი	1,928	1,830
რემონტის ხარჯი (შენობების)	651	2,190
საბაჟო-სატერმინალ მომსახურების ხარჯი	599	1,295
იურიდიული ხარჯი	2,548	2,473
სამედიცინო მასალების რეგისტრაციის ხარჯი	5,234	17,560
ავტომობილის ხარჯი	10,509	6,236
თარგმანის ხარჯი	260	423
საკანცელარიო ხარჯი	1,517	3,013
ფოსტის ხარჯი	29	914
საღარო აპარატის მომსახურების ხარჯები	102	106
სხვა ხარჯები	10,642	3,534
მივლინების ხარჯი	24,170	30
დასუფთავების მოსაკრებელი	1,487	814

შპს „უნიმედი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმომადგენლობითი ხარჯი	15,958	25,303
ოფისის შენახვის ხარჯი	10,748	15,539
ხარჯი პროპორციული დღგ	65,368	57,341
პირგასამტეხლო	27,611	216
საურავი		1,770
სესხზე დარიცხული ჯარიმა		1,785
საბანკო გარანტიის %		4,988
თანამშრომელთა კვების ხარჯი		354
სხვა საგადასახადო ხარჯი	3,600	5,874
თიბისი ლიზინგის%		1,440
მოგების გადასახადის ხარჯი	17,095	400
საგარანტიო მომსახურების ხარჯი		2,299
ქველმოქმედების ხარჯი	2,475	2,125
	<u>436,567</u>	<u>323,596</u>

8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

<u>შენიშვნა 9</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
<u>ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები</u>		
ნაღდი ფული სალაროში	159	124
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	719,707	961,608
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,037	22,705
<u>ჯამი</u>	<u>722,904</u>	<u>984,437</u>

<u>შენიშვნა 10</u>		
<u>საფაქრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
დებიტორული დავალიანებები	272,284	317,290
მისაღები პროცენტები	439	-
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	4	1,424
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	0	490
მოთხოვნები გაცემულ სესხზე	110,401	3,175
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5,497	5,313
<u>ჯამი</u>	<u>388,625</u>	<u>327,692</u>

<u>შენიშვნა 11</u>		
<u>გადახდილი ავანსები</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	326,747	1,342,027
<u>ჯამი</u>	<u>326,747</u>	<u>1,342,027</u>

შენიშვნა 12

მარაგები	12/31/2022	12/31/2021
საქონელი	1,535,896	1,940,844
საწვავი	1,035	1,088
ჯამი	1,536,931	1,941,932

შენიშვნა 12.1

სხვა მიმდინარე აქტივები	12/31/2022	12/31/2021
წინასწარ გადახდილი გადასახადები	99,515	130,376
ჯამი	99,515	130,376

შენიშვნა 13

კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით

არამატერიალური აქტივი	12/31/2022	12/31/2021
ბუღალტრული პროგრამა „ორის მენეჯერი“	37,869	37,869
დარიცხული ამორტიზაცია	- 32,542	- 26,862
ჯამი	5,326	11,007

შენიშვნა 14

საფაქრო ვალდებულებები	12/31/2022	12/31/2021
კრედიტორული ვალდებულებები კრედიტორებთან	565,493	257,619
მიღებული ავანსები	817,925	1,657,771
სხვა მიმდინარე ვალდებულება	801	4,058
ჯამი	1,384,218	1,919,448

შენიშვნა 15

საგადასახადო ვალდებულების ვადა ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის არ დამდგარა, ამიტომ კომპანიას აღიარებული აქვს ჯერ არ დამდგარი საგადასახადო ვალდებულება

<u>საგადასახადო ვალდებულებები</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
საგადასახადო ვალდებულებები	39,477	48,382
	<u>39,477</u>	<u>48,382</u>

შენიშვნა 16

კომპანიას თიბისი ბანკიდან აღებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები
გრძელვადიანი სესხი აქვს აღებული არარეზიდენტი პირიდან, საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ურთიერთდამოკიდებული პირიდან აღებულია მოკლევადიანი სესხისაბაზრო საპროცენტო განაკვეთით

<u>მოკლევადიანი სესხი</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება ბანკებიდან	123,802	1,004,907
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება ურთიერთდამოკიდებულ პირებთან	567,621	650,853
მოკლევადიან სესხზე გადასახდელი პროცენტი	4,057	3,582
<u>ჯამი</u>	<u>695,479</u>	<u>1,659,343</u>

<u>შენიშვნა 16</u>		
<u>გრძელვადიანი სესხი</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
გრძელვადიანი სესხი ბანკიდან	124,173	600,838
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე		55,476
	<u>124,173</u>	<u>656,314</u>

შენიშვნა 17

2021-2022 წლის საანგარიშგებო პირებზე პარტნიორებზე გაცემული დივიდენდი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 6338 ლარით, რაც გასაცემი დივიდენდიდან რეინვესტირდა

<u>დივიდენდი</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
ნინო ყალიჩავა	254,358	105,085
მანანა კუპატაძე-ცხადაძე	74,539	21,037
ანდრეი ვილერ	56,408	46,299
	<u>385,305</u>	<u>172,422</u>

შენიშვნა 8

ძირითადი საშუალება

მთლიანი საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობები	ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	801,586	574,380	34,318	67,329	83,469	1,561,082
მიღებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში	-	17	59,504	17,511	82,614	159,645
დარიცხული ცვეთა		16,932	2,493	17,961	19,369	56,755
გასული				155	5,127	5,282
ნარჩენი ღირებულება	801,586	557,464	91,329	66,724	141,588	1,658,691
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	801,586	557,464	91,329	66,724	141,588	1,658,691
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	-	214,067	1,633	39,490	53,029	308,220
დარიცხული ცვეთა		17,425	4,431	15,089	31,691	68,636
გასული						-
ნარჩენი ღირებულება	801,586	754,106	88,531	91,125	162,926	1,898,275
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	801,586	754,106	88,531	91,125	162,926	1,898,275

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო, საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე

ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში ან შემდეგში.

„კომპანი“-ის მიერ არასწორად იყო განსაზღვრული რიგ ძირითად საშუალებაზე სასარგებლო მომსახურების ვადა. შესაბამისად მოხდა შეცდომის გასწორება. მსს ფასს სტანდარტის მე-10 განყოფილების შესაბამისად შეცდომის გასწორება მოხდა რეტროსპექტულად.

„კომპანია“-ს ბალანსზე არამატერიალური ფასეულობების მუხლში აღრიცხული აქვს ბუღალტრული პროგრამა „ორის მენეჯერი“. „კომპანია“ არამატერიალურ აქტივს არიცხავს ამორტიზაციას 2021 წლის საანგარიშო პერიოდში 5681 ლარი და 2022 წლის საანგარიშო პერიოდში 5681 ლარი

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

18. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

უმაღლესი რანგის მენეჯერების სახელფასო გასამრჯელომ 2021 წლის საანგარიშო პერიოდში 120403 ლარი და 2022 წლის საანგარიშო პერიოდში 159760 ლარი

	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
სავაჭრო მოთხოვნები ურთიერთდამოკიდებულ პირებიდან	114,601	89430
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები ურთიერთდამოკიდებულ პირებთან	567,621	650853
	<u>682221</u>	<u>740283</u>

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 23 მარტი

დირექტორი:

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

18. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

უმაღლესი რანგის მენეჯერების სახელფასო გასამრჯელომ 2021 წლის საანგარიშო პერიოდში 120403 ლარი და 2022 წლის საანგარიშო პერიოდში 159760 ლარი

	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
სავაჭრო მოთხოვნები ურთიერთდამოკიდებულ პირებიდან	114,601	89430
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	567,621	650853
ურთიერთდამოკიდებულ პირებთან	<u>682221</u>	<u>740283</u>

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 23 მარტი

დირექტორი:

